სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის

ოქმი N3

ქ. თელავი 18 ივნისი 2019 წ.

სხდომის დასაწყისი: 11:00 სთ სხდომის დასასრული: 12:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

1. შოთა ნარეკლიშვილი - თელავის მუნიციპალიტეტის მერი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. ნიკოლოზ შარვაშიძე - აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისათვის რეგიონალური კოორდინატორი - საბჭოს წევრი;
3. სოფიკო ტაბატაძე - კოოპერატივი „თაფლიანის " ხელმძღვანელი- საბჭოს წევრი;
4. ნინო შამანაური - საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონის" თელავის ოფისის სოციალური მუშაკი - საბჭოს წევრი;
5. ნინო ჭიჭიკოშვილი - თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - საბჭოს წევრი;
6. თენგიზ კუკუნაშვილი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი - საბჭოს წევრი;

სხდომას, ასევე ესრებოდნენ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებიც;

7. კონსტანტინე დოლიძე - ა(ა)ი.პ. პროფესიული კოლეჯი ,,პრესტიჟის" დირექტორი - საბჭოს წევრი;

სხდომის მდივანი: ქეთევან ასლანიშვილი

დღის წესრიგი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების აქციის ჩატარების საორგანიზაციო საკითხებზე შეთანხმება.

**მოისმინეს:**

თელავის მუნიციპალიტეტის მერმა შოთა ნარეკლიშვილმა დასუფთავების აქციის ჩატარებასთან დაკავშირებით სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაზრდის მნიშვნელობაზე ისაუბრა და ამ მიმართულებით ახალგაზრდების ჩართულობის აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება. ასევე, აღნიშნა, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობის გასაზრდელად მნიშვნელოვანია აქცია არ იყოს ერთჯერადი და სურვილი აქვს მომავალში კამპანიის სახე მიიღოს. გარდა ამისა, შოთა ნარეკლიშვილმა განაცხადა, რომ მნიშვნელოვანი არ არის აქციაში მონაწილეთა რაოდენობა, რადგან მთავრი მიზნის მისაღწევად აუცილებელია მოქალაქეთა ნება საკუთარი სურვილით ჩაერთნენ ღონისძიებაში.

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა **კონსტანტინე დოლიძემ** აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია სამოქალაქო პასუხისმგებლობაზე ზრუნვა მცირეწლოვანი ასაკიდან დაიწყოს. აქედან გამომდინარე, მზად არის ამ მიმართულებით საკუთარ თანამშრომლებთან ერთად იმუშაოს საბავშო ბაღის აღსაზრდელებთან და სკოლის მოსწავლეებთან. აღნიშნული იდეა მუნიციპალიტეტის მერმა მოიწონა და განაცხადა, რომ ნამდვილად დიდი დროა საჭირო საზოგადოებაში მაღალი სამოქალაქო თვითშეგნების ჩამოყალიბებისთვის.

ერთ-ერთმა მრჩეველმა **სოფიკო ტაბატაძემ** გამოთქვა აზრი, რომ დასუფთავების კამპანიის ფარგლებში მუნიციპალიტეტში არსებული ყველა სექტორი (კერძო თუ საჯარო) ცალკ-ცალკე ჩაერთოს აქციაში წინასწარ განსაზღვრული თარიღების მიხედვით. აღნიშნულთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მერმა განაცხადა, რომ უმჯობესი იქნება ყველა ერთად, სურვილის შესაბამისად ჩაერთოს ღონისძიებაში, რათა უფრო მასშტაბური და შედეგიანი იყოს.

გარდა ამისა, **შოთა ნარეკლიშვილმა** აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში მუნიციპალიტეტი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან მიიღებს მოთხოვილ ნერგებს და გამოთქვა მზაობა დასუფთავების კამპანიის ფარგლებში ერთი დღე დაეთმოს გამწვანებას. საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრება წევრებმა მოიწონეს და მზადყოფნა გამოთქვეს აღნიშნულში მონაწილეობაზე.

სხომაზე წევრები შეთანხმდნენ აქციის ჩატარების სავარაუდო ლოკაციებზე. კერძოდ, უნივერსიტეტის მიმდებარე, ზუზუმბოს და შუამთის ტერიტორია. ასევე, სავარაუდო ლოკაციად განხილული იქნა გივი ჩოხელის სახელობის სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაც.

საბჭოს მსვლელობის დროს დაიგეგმა საორგანიზაციო საკითხებიც. ამასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერმა **შოთა ნარეკლიშვილმა** გამოთქვა მოსაზრება, რომ ვინაიდან დღესდღეობით ინფორმაციის გავრცელების ყველაზე სწრაფი და ეფექტური გზა სოციალური ქსელია, ამიტომ პირველი ეტაპისთვის მნიშვნელოვანია აღნიშნული აქცია დაანონსდეს სწორედ სოციალური ქსელის მეშვეობით. მრჩევლები აღნიშნულ მოსაზრებას

დაეთანხმდნენ. ერთ-ერთმა წევრმა ნიკოლოზ შარვაშიძემ აღნიშნა, რომ შესაძლებელია ცნობადი სახეების მონაწილეობით მცირე ვიდეო რგოლების ჩაწერაც, რომლებიც მოსახლეობას მოუწოდებენ არ დაანაგვიანონ გარემო და აქტიურად ჩაერთონ დასუფთავების აქციაში. მოსაზრებასთან დაკავშირებით მერმა აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნება არა უბრალოდ ცნობადი სახეების, არამედ იმ კონკრეტული დასახლებისთვის, სოფლისთვის, უბნისთვის ავტორიტეტული პიროვნების მონაწილეობით ჩაიწეროს ვიდეო რგოლი, რაც უფრო დამაფიქრებელი, მისასალმებელი და გასათვალისწინებელი იქნება კონკრეტული მაცხოვრებლებისთვის. აქვე, შოთა ნარეკლიშვილმა დასძინა, რომ აღნიშნული კამპანია საჭიროა არა პიარისთვის, არამედ შედეგისთვის.

სხდომის ბოლოს დასუფთავების აქციის ჩატარების სავარაუდო თარიღად განისაზღვრა მიმდინარე წლის 7 ივლისი.

სხდომის თავმჯდომარე — შოთა ნარეკლიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის მერი

სხდომის მდივანი — ქეთევან ასლანიშვილი